გ ა მ ო ფ ე ნ ა

საქართველო – ლატვია: გუშინ, დღეს, ხვალ

(ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის ფონდიდან)

ANNO 1524

2007 წლის 15 ნოემბრიდან 2008 წლის 15 იანვრამდე
საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
ა.ალექსიძის ქუჩა 1-4, თბილისი, 0193, საქართველო

ლატვიის პრეზიდენტის ვალდის ზატლერსისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა სამუშაო ვიზიტის დროს აშშ-ში 2007 წლის 25 სექტემბერს.

2007 წლის 18 ნოემბერს ლატვია აღნიშნავს დამოუკიდებლობის გამოცხადების 89-ე წლისთავს. 2007 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნება გამოფენა „ლატვია საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ." გამოფენა, რომელიც ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის მიერაა ორგანიზებული, გაძლევთ საშუალებას გაეცნოთ ლატვიის ისტორიას, საქართველოსა და ლატვიის კულტურულ ურთიერთობათა ფესვებს, ამ ორი ქვეყნის საერთო გზას ევროგაერთიანებისკენ.



იანის ჩაკსტე (1859-1927)
ლატვიის პირველი პრეზიდენტი (1922-1927).

ლატვიის დამოუკიდებლობის დეკლარირება.

უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები

დაახლოებით მე- 9 ს. ჩვ. წ. აღ.	კონტინენტალური გამყინვარების შემდეგ ჩრდილოეთში, ლატვიის ტერიტორიაზე ადამიანებმა იწყეს დასახლება.
დაახლოებით მე- 2 ს. ჩვ. წ. აღ.	ლატვიის ტერიტორიაზე შემოდიან ინდოევროპული წარმოშობის ბალტიელი მიწათმოქმედი ტომები, რომელთაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა ლატვიელი ხალხი.
X-XIII საუკუნეები	ზოგიერთი ბალტიელი ტომები (კურშები, სელები, ზემგალები და ლატგალები) ქმნიან ტომურ სახელმწიფოებს.
XII ს. მეორე ნახ.-XIII ს.	გერმანელი ვაჭრების და მისიონერების გამოჩენა დღევანდელი ლატვიის ტერიტორიაზე. ქ. რიგის დაარსება 1201 წელს. ტერიტორიის გერმანული გავლენის ქვეშ მოქცევა. ლივონიის დაარსება.
XVI ს.	ლივონიის ომი (1558 - 1583). ლივონიის ტერიტორიაზე პოლონურ-ლიტვური გავლენის გაძლიერება. კურზემეს და პარდაუგავას საჰერცოგოების დაარსება.
XVII ს.	პოლონეთ-ფინეთის ომი (1600 - 1629). ვიდზემე და რიგა ფინეთს ემორჩილება.
XVIII ს.	ჩრდილოეთის დიდი ომი (1700 - 1721). საუკუნის დასასრულამდე დღევანდელი ლატვიის მთელი ტერიტორია რუსეთის პროვინციად იქცევა.
1850 - 1870 წლები	ლატვიელთა ეროვნული თვითშეგნების გააზრება, ეროვნული მოძრაობის დრო. მოძრაობის ლიდერები „ახალი ლატვიელები".
1918 წ. 18 ნოემბერი	ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.
1940 წ. 17 ივნისი	საბჭოთა ჯარების მიერ ლატვიის ოკუპაცია.
1941 წ. 14 ივნისი	სასამართლოს გარეშე ლატვიიდან სსრ კავშირის ჩრდილოეთ რეგიონებში, ციმბირში და სხვა შორეულ ტერიტორიებზე ხელისუფლებამ გადაასახლა დაახლოებით 20 000 ადამიანი, მათ შორის ახალშობილი ბავშვები, ორსული ქალები, ინვალიდები და მოხუცები.
1941 - 1945 წლები	გერმანელი ნაცისტების მიერ ლატვიის ოკუპაცია.
1945 წ. 8 მაისი	მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ლატვიაში საბჭოთა ჯარები რჩება.
1949 წ. 25 მარტი	საბჭოთა ხელისუფლების მიერ მე-2 დეპორტაციის განხორციელება. საბჭოთა კავშირის შორეულ ტერიტორიებზე გადასახლებულ იქნა 43 000 ადამიანი.
1990 წ. 4 მაისი	ლატვიის უმაღლესი საბჭო იღებს დეკლარაციას ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ, აცხადებს გარდამავალ პერიოდს.
1994 წ. 31 აგვისტო	ლატვიიდან გაჰყავთ რუსეთის ჯარები.
2004 წ. აპრილი-მაისი	ლატვია ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყანა ხდება.

D. Johann Anton Güldenstädt

Rußisch-Kayserl. Akademikers und Professors der Naturgeschichte auch der Churfürstl. Maynzischen und der Berliner Naturforschenden, wie auch der St. Petersburgischen ökonomischen Gesellschaft Mitgliedes,

Reisen

durch

Rußland

und im Caucasischen Gebürge.

Auf Befehl der Rußisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben

von

P. S. Pallas.

Zweyter Theil.

St. Petersburg,
bey der Kayserlichen Akademie der Wissenschaften,
1791.

ლატვიაში ცნობილი პირველი ქართველი ბატონიშვილი პეტრე ბაგრატიონი გახლავთ (1818 - 1876), რომელსაც 1870 წლიდან 1876 წლამდე ლატვიის გუბერნატორის თანამდებობა ეკავა. სწორედ მისი ინიციატივით აშენდა რიგის ქრისტეშობის კათედრალური ტაძარი. პეტრე ბაგრატიონს სამეცნიერო წრეებშიც კარგად იცნობდნენ. ბაგრატიონის ნამუშევრებს იკვლევდა აკადემიკოსი იანის სტრადინში. მათ შესახებ სწავლულს მრავალი ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული. მოგვიანებით, იანის სტრადინში საქართველოს მეცნიერთა აკადემიის უცხოელ წევრად იქნა არჩეული.

საქართველოსთანაა დაკავშირებული ასევე რიგაში დაბადებული გერმანელი ექიმის, ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გილდენშტეინის (1745 - 1781) სახელიც. გილდენშტეინმა დიდი ხანი იცხოვრა საქართველოში და მოგზაურის დღიურების სახით იქაური ფლორის და ფაუნის ზუსტი აღწერები დატოვა. იკვლევდა ადგილობრივი მინერალების სამკურნალო თვისებებს, შეადგინა კავკასიის ეკონომიკური შეფასებები, გააანალიზა ამ რეგიონის სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები. მისი კვლევის თემა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები და Xდტდტ,ბ ასევე ლინგვისტიკური მასალის შეგროვებაც გახლდათ.

აკადემიკოსი იანის სტრადინში

საქართველოს სახელი ლატვიელებისთვის პირველად ხდება ცნობილი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც გაზეთი „დიენას ლაპა" თავის ფურცლებზე მრავლად აქვეყნებს მოთხრობებს ტიფილისში მოგზაურების შესახებ. 1904 - 1906 წლებში რიგის რუსული თეატრის რეჟისორი ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე კოტე მარჯანიშვილი იყო. რიგაში „სოლომენკას" ცირკის ადმინისტრატორის თანამდებობაზე მრავალი წლის მანძილზე ქართველი გიორგი შვანგირაძე მუშაობდა. 1905 წელს გიორგი შვანგირაძემ რიგაში გახსნა პირველი კინოთეატრი - "Royal Bio". 1929 წელს დაარსდა კავკასიელთა პირველი საზოგადოება „ივერია", რომელსაც მოგვიანებით „კავკასია" ეწოდა. საზოგადოება იღწოდა, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოესმინა ლექციები ქართულ ხელოვნებაზე, ისტორიასა და პოლიტიკურ მოვლენებზე. ამავე დროს საქართველოში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა ან სამკურნალოდ ჩადიოდა ბევრი ცნობილი ლატვიელი მწერალი: იანის ეზერინში, პავილს როზიტისი, ერნესტ ბირზნიეკს-უპიტისი, იანის იაუნსუდრაბინში და ლინარდ ლაიცენსი. საქართველოში გასტროლების დროს დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა ბრწყინვალე ლატვიელმა მომღერალმა მილდა ბრეჰმანე-შტენგელემ. ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში და ლატვიელთა საზოგადოების „Ave Sol" თავმჯდომარე, პროფესორი რეგინა იაკობიძე იკვლევდა ფარმაკოლოგ რობერტ კუფცისის მოღვაწეობას საქართველოში.



აღსანიშნავია რომ მხატვარი იული სტრაუმე იყო ლატვიის პირველი წარმომადგენელი საქართველოში. ლატვიის პრეზიდენტის ვაირა-ვიკე ფრეიბერგას საქართველოში ვიზიტის დროს ჩატარდა პრეზენტაცია წიგნისა „იული სტრაუმე გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი". ლატვიის პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით ლაიმა კლავინას ეს წიგნი სპეციალურად ითარგმნა ქართულ ენაზე. საგანგებო კოლოფში მოთავსებული დედანი და თარგმანი ქმნის წიგნთა უნიკალურ კომპლექტს. იული სტრაუმე საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1908-1925 წლებში. იმ დროს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ლატვიელთა დიდი დიასპორა იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბდა, ძირითადად, ლატვიელ ლტოლვილთაგან. ლატვიის საელჩო საქართველოში 1922 წლამდე მუშაობდა. 1941-1943 წლებში საქართველოს კინოსტუდიაში დეკორატორად მხატვარი რომან სუტა მოღვაწეობდა. იგი ქართული ისტორიული კინოფილმის „გიორგი სააკაძის" მხატვრული კონსულტანტი იყო. რომან სუტას სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა თბილისში 1944 წელს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლატვიაში ქართველთა რიცხვმა იმატა, მეტწილად მოვლინებული სპეციალისტების ხარჯზე. მაგალითად, ლატვიის შამპანურის ქარხნები უმთავრესად დააარსეს საქართველოს მეღვინეთა გაერთიანება „სამტრესტის" სპეციალისტებმა, ხოლო ბრწყინვალე ქირურგმა არჩილ მაჩაბელმა რიგის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ინსტიტუტი დააარსა. აქტიური თანამშრომლობა გაღვივდა მეცნიერების დარგშიც. ლატვიაში უკრაინის დღევანდელი ელჩი რაულ ჩილაჩავა წარმოშობით საქართველოდანაა, კერძოდ ზუგდიდიდან. მას გამოცემული აქვს 80-ზე მეტი წიგნი ქართულ, უკრაინულ, რუსულ და სხვა ენებზე. ლატვიაში ქართველთა დიასპორა „სამშობლოს" (დაარსდა 1993 წელს) მოღვაწეობის მიზანია: შეინარჩუნოს და გააღრმავოს ქართული კულტურა ლატვიაში, შეასწავლოს ქართული ენა ახალ თაობას, ერთად აღნიშნოს დღესასწაულები, შეინარჩუნოს კავშირი საქართველოსთან და სხვა ქვეყნების ქართველებთან. ლატვიელებისთვის ახლობელია ქართველების ცხოვრებისეული ფილოსოფია, გულღიაობა, ერთმანეთის ღრმა პატივიცემა და სამშობლოს შესაშური სიყვარული.

ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკა

1524 წელს დაარსებული ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ბიბლიოთეკაში ინახება 3.4 მილიონ წიგნზე მეტი. ლიტერატურის ფონდში მსოფლიოს 69 ენაზე გამოცემული წიგნია.
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია ვენტა კოცერე.

http://www.acadlib.lv/

Design: Aivars Plaka